



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ბრძანება

თბილისი



MES 8 21 0000858667



03/09/2021

„2021 წელს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ქიმიაში, ბიოლოგიასა და ზოგად უნარებში ტესტირების ჩატარების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 27 აგვისტოს N827935 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 03 სექტემბრის N858508 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2021 წელს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ქიმიაში, ბიოლოგიასა და ზოგად უნარებში ტესტირების ჩატარების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 27 აგვისტოს N827935 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2021 წელს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის:

ა) ქიმიასა და ბიოლოგიაში ტესტირების ჩატარების თარიღად განისაზღვროს:

ა.ა) რეგიონების მასშტაბით, 2021 წლის 6 სექტემბერი;

ა.ბ) ქალაქ თბილისის მასშტაბით, 2021 წლის 13 სექტემბერი.

ბ) ზოგად უნარებში ტესტირების ჩატარების თარიღად განისაზღვროს:

ბ.ა) რეგიონების მასშტაბით, 2021 წლის 7 სექტემბერი;

ბ.ბ) ქალაქ თბილისის მასშტაბით, 2021 წლის 14 სექტემბერი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'M. Chkhenkeli', with a horizontal line underneath it.